იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი

АИУСТИЦИЕИ, АТӘЫЛАУААРАТӘ АИНТЕГРАЦИЕИ АЗҬАААРАҚӘА РЗЫ
АҒЬСНЫТӘИ АВТОНОМТӘ РЕСПУБЛИКА АМИНИСТРРА АППАРАТ

ბრძანება

N 2 ა/ს
28.01.2025

2-ა/ს-4-202501281439

ქ. თბილისი

იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატში ვიდეო-აუდიო მონიტორინგის განხორციელების წესის და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის შესახებ

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის თანამდებობის შემოღების, იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 17 ნოემბრის №56 დადგენილებით დამტკიცებული „იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის დებულების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.დამტკიცდეს იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატში (შემდეგში - მინისტრის აპარატი):
ა) ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი თანდართული დანართი 1-ის შესაბამისად;
ბ) ვიდეომონიტორინგის მოწყობილობების გამაფრთხილებელი ნიშნების ნიმუში დანართი 2-ის შესაბამისად;
გ) აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი თანდართული დანართი 3-ის შესაბამისად;
დ)პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა დანართი 4-ის შესაბამისად.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს მინისტრის აპარატის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერმა (გ.ცაავა).

0179, საქართველო, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 17ე; ელ-ფოსტა: justice@abkhazia.gov.ge
17e Ilia Chavchavadze ave., Tbilisi, Georgia, 0179; email: justice@abkhazia.gov.ge

3. მინისტრის აპარატის ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (ს. ადეიშვილი) უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, ანა კალანდაძის ქ. №7ა) მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ძიგუა

Office of the Minister of the Autonomous Republic of Abkhazia for Justice and Civic Integration

Digitally signed by Office of the Minister of the Autonomous Republic of Abkhazia for Justice and Civic Integration

მინისტრი

იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი